MES 0 23 0000456131

26/04/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2023 წლის 10 აპრილს 14:00 საათზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე -პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
გიორგი ვეკუა- სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ -ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე- პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო ელბაქიძე- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- შორენა ხუბუნაია
- მარიამ აბელიანი
- ხათუნა მაისაია
- ნინო ვასაძე
- ეკატერინე გიგაშვილი
- მანანა მახარაშვილი
- ქეთევან ღვანიძე
- ალექსანდრე კეკენაძე
- ლევან მადათოვი
- ბარბარე გონაშვილი
- ქეთევან ჯანელიძე
- ფრიდონ გოგიაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი
დირექტორი - მარიამ ტვილდიანი;
სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ნატო ხმალაძე;
სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ასისტენტი - ქეთევან ნიორაძე;
იურისტი - ნინო გიორგაძე;

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი
დირექტორი - მამუკა ჭყონია;
დირექტორის მოადგილე - ზვიად არძენაძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნატალია ბარათელი;

სსიპ კოლეჯი ფაზისი

კოლეჯის დირექტორი - ნინო ბაკურაძე;
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - ეკატერინე ფოჩხუა.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგან საბჭოს მდივანმა მარიამ ქუჩულორიამ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოახერხა საბჭოს სხდომაზე დასწრება, სხდომის მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი ტიტე ბოლქვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს "დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ "საფინანსო სერვისების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯ ,,ფაზისისთვის“ ,,ამწის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.
შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ დანართში „კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის“ და „კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის“ გრაფებში არასწორად იყო მითითებული კრედიტები. მისი თქმით, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში დანართში მითითებული უნდა იყოს 114 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ვებტექნოლოგიების პროგრამაზე მითითებული უნდა იყოს 144 კრედიტი. პროფე

სიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 3 აპრილის N374631 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ ქ. რუსთავში „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 3 აპრილის №374631 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ ქ. რუსთავში „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 3 აპრილის №374631 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

პირველი საკითხი: შპს "დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შორენა ხუბუნაია მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 8 თებერვლის MES 9 23 0000139349 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე; მარიამ აბელიანი, ექსპერტთა ჯგუფის წევრი; ხათუნა მაისაია ექსპერტთა ჯგუფის წევრი - დარგის ექსპერტი (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაევალა მიმდინარე წლის 15, 16 და 17 თებერვალს, ავტორიზაციის დებულების 31- ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა","გ","დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის დადგენის მიზნით, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებას.

2023 წლის 15, 16 და 17 თებერვალს კოლეჯში განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მიმდინარეობას, პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას/მტკიცებულებებს, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (9 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (სხვადასხვა წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, სულ 11), პროფესიული განათლების მასწავლებლებს (4 პირი, მათ შორის 2 კლინიკური მოდულების განმახორციელებელი), პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2 პირი), იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებთანაც კოლეჯი თანამშრომლობს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე (კერძოდ - ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც თანამშრომლობდა კოლეჯთან სასწავლო პროცესისა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის მიმართულებით, ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც თანამშრომლობდა კოლეჯთან ვებგვერდის ახალი ვერსიის შექმნაზე, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგის ჯგუფს და სხვ.). ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების

დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ უპირატესად მოთხოვნილი და შეფასებული იქნა კოლეჯის რეავტორიზაციის შემდგომ შექმნილი მტკიცებულებები, ყურადღება გამახვილდა კოლეჯის მიერ მოდიფიცირებულ შიდა მარეგულირებელ აქტებზე და წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფაქტებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა დასკვნაში ცალკეული საკითხების აღწერისას და პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობისას გამოყენებული ფრაზა - „საანგარიშო პერიოდი“ გულისხმობს კოლეჯის რეავტორიზაციის შემდგომ პერიოდს. მიმდინარე წლის 17 მარტს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 7 23 0000306404 წერილის საფუძველზე, წარმოდგენილი კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციისა და მასზე დართული მტკიცებულებების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ აღმოფხვრილია ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში გამოტანილი ხარვეზები. კერძოდ,

ინდიკატორი 5.1.2.1 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, დაწესებულებას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, არ არის დასრულებული სახანძრო უსაფრთხოების შეფასების ღონისძიებები.
კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიება - შპს „მშენ-ექსპერტ +“-ის მიერ მომზადებულია ინსპექტირების ანგარიში შენობა- ნაგებობის, მდებარე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. No121, III სართული - მდგრადობისა და რეკომენდაციების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და გაცემულია რეკომენდაციები ავარიული ნიშნების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული იქნა დასკვნა ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორი 5.2.2.2 არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში არ არის დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

კოლეჯის მიერ განხორციელებული ღონისძიება - კოლეჯსა და შპს „ჰოსტი.ჯი“ შორის სამუშაოების დასრულების შესახებ 2023 წლის 16 თებერვალს გაფორმებული შეთანხმების მიხედვით აღებული ვალდებულება შესრულებულია. კოლეჯის მიერ გამოგზავნილია სისტემაში რეგისტრირებული კორესპოდენცია, ხოლო სისტემის ფუნქციებისა და პანელების მართვის პრინციპებს ექსპერტთა ჯგუფი კოლეჯში ვიზიტის დროს გაეცნო. ამასთან, კოლეჯის მიერ გამოგზავნილია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში დაშვების დროებითი იუზერი და პაროლი, რის საშუალებით ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სისტემის მუშაობა, რეგისტრირებული კორესპოდენცია, მართვის პანელი და დასტურდება, რომ სისტემა იძლევა შემოსული კორესპონდენციის დამუშავების, რეგისტრაციის, მოძრაობის, შესრულების კონტროლის, გასაგზავნი კორესპონდენციის შექმნის, დამუშავების ბრძანებების/ხელშეკრულებების/სხვ. აღრიცხვის შესაძლებლობას. აღნიშნულის დასტურად იხილეთ დასკვნის დანართი N3. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად მიჩნევის გარემოებების აღმოფხვრის დადასტურება დამოკიდებული იყო სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტებზე (შენობა-ნადებობის მდგრადობა,

სახანძრო უსაფრთხოება), ხოლო საქმისწარმოების სისტემის გაშვება დამოკიდებული იყო ტექნიკური სამუშაოების დასრულებაზე, პროცესები არ საჭიროებს დამატებით შესწავლას, ადგილზე გადამოწმებას და სხვა ღონისძიებების შესრულებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები ამოღებულია და შესაბამისი სტანდარტი შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

შესაბამისობის რეკომენდაციები:

კოლეჯში 2022 წელს განხორციელდა რეავტორიზაციის ვიზიტი, რა დროსაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები, მათ შორის:

3.2.1 ქვესტანდარტი - დარღვეულია სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ვადები სტატუსის მოპოვებასთან მიმართებაში და აცდენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ჩარიცხვის პერიოდს. შესწავლილი სასწავლო ხელშეკრულებები ნაცვლად მინისტრის მიერ განსაზღვრული ჩარიცხვის ვადებისა (01.10.2021-10.10.2021) დათარიღებულია 2021 წლის 8 ნოემბრით, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში დარეგისტრირებულია 2021 წლის 16 დეკემბრით.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ განხორციელებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოდიფიცირება და ნათლადაა გაწერილი პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმები.

5.2.2 ქვესტანდარტი - დაწესებულების საქმისწარმოება არ შეესაბამება კანონმდებლობას (საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). დაწესებულება გონივრულ ვადებში არ ასახავს შიდა მარეგულირებელ აქტებში კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში არ მოუხდენია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების ინფორმირება.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია განხორციელებულია, შიდა მარეგულირებელ აქტებში ძირითადი პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები.
რაც შეეხება საქმისწარმოების ელექტრონულ პლატფორმას, კოლეჯში აღნიშნული სისტემა დანერგვის პროცესშია.

1.1.1 ქვესტანდარტი - კოლეჯის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია კოლეჯის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1.2.2 ქვესტანდარტი - კოლეჯმა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები გაზიარებულია კოლეჯის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

3.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის პროცედურა ადაპტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით გაწერილ ვადებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, დოკუმენტი ნათლად იძლეოდეს წარმოდგენას შერჩევის პროცედურების, შერჩევის ალტერნატიული მეთოდებისა და აპელაციის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს. დაწესებულებამ უზრუნველყოს რეგულაციის შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

4.1.2 ქვესტანდარტი - შინაგანაწესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან და მასში აისახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცვლილებების გაცნობა კოლეჯის პერსონალისთვის. რეგულაციები მოვიდეს შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. 2. პერსონალის მოზიდვა-შერჩევის პროცესი უნდა არეგულირებდეს სამუშაოზე აყვანის გამჭვირვალე და გაწერილ პროცედურას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური და შესატყვისი კადრების მოზიდვას და შერჩევას; პერსონალის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. 3. დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულებების განთავსება პერსონალის პირად საქმეში.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ სამივე რეკომენდაცია შესრულებულია. პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ნასამართლეობის არ ქონის თაობაზე.

4.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმი იყოს გამჭირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის. ზემოაღნიშნულ მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი/შემფასებლები და სხვა. შემფასებელი/შემფასებლები განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი/პირები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა. პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ატარებდეს ფორმალურ და სისტემატურ ხასიათს. თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულება უნდა ახდენდეს მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რის შედეგებსაც უნდა იყენებდეს პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის. ასევე გაიწეროს მექანიზმი, თუ როგორ ახდენს დაწესებულება ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში. ზემოაღნიშნულ მექანიზმში ასახული უნდა იყოს პირი/პირები, რომლებიც ჩართულები იქნებიან ინტეგრაციის პროცესში.

დაწესებულების რეაგირება - დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმები შემუშავებულია, ხოლო მათი შესრულება დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის.

5.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.

დაწესებულების რეაგირება - კოლეჯი თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან და კოლეჯში განხორციელებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პროცედურები. დაწესებულებაში მიმდინარეობს სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედებები.

5.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ მოიპოვოს თანხმობა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. დაწესებულებამ შეიმუშავოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც შეაფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, ასევე პროცესების ეფექტიანობას.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებულია შეთანხმება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის შესახებ. კოლეჯის მიერ მოდიფიცირებულია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კითხვარები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას IT ტექნოლოგიების შეფასების თაობაზე, ასევე კოლეჯში დანერგილია IT აუდიტის პრაქტიკა და თვეში ერთხელ ხორციელდება IT ინფრასტრუქტურის მონისტორინგი.

5.2.2 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯს შესყიდული აქვს ელექტრონული საქმისწარმოების პლატფორმა და მიმდინარეობს დანერგვის პროცესი.

5.2.3 ქვესტანდარტი - პროგრამასა და რეგულაციებში ასახული ცვლილებები გონივრულ ვადაში განახლდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე. რეგულარულად (ყოველწლიურად ან განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად) განახლდეს და კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსდეს კატალოგი.
დაწესებულების რეაგირება - საანგარიშო პერიოდში განახლებულია კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

2.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლეჯის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე. დაწესებულებამ უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის დანართების (მოდულების) მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯმა განახორციელა შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება, ცვლილებები განახორციელა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და მოიყვანა შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან.

2.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯმა განახორციელა შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება, მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.

2.4.2 ქვესტანდარტი - კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერებთან და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოყენებული იქნას მხოლოდ კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება. დაწესებულებამ განსაზღვროს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა და ვადები.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯმა განახორციელა შიდა მარეგულირებელი აქტების მოდიფიცირება, გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, კოლეჯმა განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.

განმავითარებელი რეკომენდაციები:
1.2.1 ქვესტანდარტი - სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნებისთვის რეკომენდებულია თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული იყოს კონკრეტული დროის პერიოდი, როცა იგეგმება შესაბამისი აქტივობა (მაგალითად შესრულების თვე/თვეები). ასევე დაკონკრეტდეს რომელი თვიდან რომელ თვემდე პერიოდს მოიცავს სასწავლო წელი.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის, მიმდინარე ეტაპზეც გაცემულია იგივე რეკომენდაცია.

3.1.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს ადმინისტრაციის საბჭოს კომპეტენციაზე და უზრუნველყოს უფლებების სწორი დელეგირება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ასევე მობილობის წესში დაზუსტდეს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესის“ შესაბამისად. რეკომენდირებულია, მიღებული განათლების აღირების წესი ადაპტირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღირების წესთან“ და გაიწეროს ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები, განცხადების წარდგენისა და წარმოების ვადები, კომისიის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს განმეორებითი შეფასებისათვის დადგენილ ვადებთან დაკავშირებით, ვინაიდან 1 კვირის ვადაში 3-ჯერადი გადაბარება ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის ადეკვატურ მიღწევას. ამასთან განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის ვადები ერთმანეთთან უზუსტობაშია და -სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მექანიზმების ვადების შესაბამისობა, რათა პროფესიულ სტუდენტს არ შეეზღუდოს იმ მოდულზე დაშვების უფლება, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება. პროფესიულ სტუდენტთა გასაჩივრების წესში ასევე გაიწეროს საჩივრის განხილვისა და მასზე რეაგირების ვადები და პროცედურები, კომისიის უფლებამოსილების, ფორმირებისა და საქმიანობის მექანიზმები. ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა პროფესიულ განათლებაში სემესტრისა და კურსის ცნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ყურადღება გაამახვილოს პროფესიული განათლების კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებაზე და შესაბამისობაში მოიყვანოს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები. სასწავლო ხელშეკრულებით სწავლის საფასური მოიცავს დაფინანსების ორივე გარემოებას (საბიუჯეტო/არასაბიუჯეტო) და სასურველია გაიმიჯნოს კონკრეტული მიღების პროფესიული სტუდენტების სწავლების დაფინანსების შესაძლო ალტერნატიული მიდგომები. აწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ისგ შემუშავების მექანიზმი შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ მოცემულობასთან მიმართებაში და დაზუსტდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ალტერნატიული შემთხვევებიც, მათ შორის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობის შესაძლო გარემოებები და გაიწეროს არასრულწლოვანის პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის/პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის ადმინისტრაციის საბჭოს უფლებამოსილება მოდიფიცირებულია და სტუდენტის სტატუსის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების ვადები შეცვლილია და წინაპირობის მქონე მოდულებისათვის განსაზღვრულია 2

კვირა. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შემთხვევები კოლეჯის მიერ დაზუსტებულია და მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას, ასევე გაწერილია ინდივიდუალური გეგმაში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის საკითხები. შიდა მარეგულირებელ აქტებში პროცედურების გაწერისა და ჩართული პირების პასუხისმგებლობების გამიჯვნის საკითხებზე მიმდინარე წარმოების ფარგლებში ასევე გაცემულია რეკომენდაციები.

3.2.1 ქვესტანდარტი - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს. რეკომენდირებულია, კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ შემუშავებულია სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ექსტრაკურიკულური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს. კოლეჯის მიერ მოდიფიცირებული პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები.

4.1.2 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულების ჩანაწერები სამუშაო საათების შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ განხორციელებულია ცვლილებები შინაგანაწესში და პერსონალის სამუშაო დროები შესაბამისობაშია პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ დროებთან.

5.1.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულების შეთანხმება და ქვეიჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში. რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოეკრას თვალსაჩინო ადგილზე.
დაწესებულების რეაგირება - დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

2.2.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. რეგულაციაში ან/და ხელშეკრულებით განსაზღვროს ვინ ითავსებს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს.
დაწესებულების რეაგირება - დაწესებულებამ გამიჯნა პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებასა და რესურსების ცვლილებას ახორციელებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2.3.1 ქვესტანდარტი - მოხდეს დამსაქმებლის და კურსდამთავრებულთა კითხვარების სრულყოფა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომზადდეს ანგარიშები/რეკომენდაციები. ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აღნიშნულის დოკუმენტირება.
დაწესებულების რეაგირება - კოლეჯის მიერ მოდიფიცირებული პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის კითხვარები.

2.4.1 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, დაწესებულებამ სრულყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, გაითვალისწინოს სტატუსის აღდგენის და მობილობის შემთხვევები, განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები,დამტკიცების ვადები, ასევე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას. დაწესებულებამ უზრუნველყოს სახარჯი მასალების დროული და სრულყოფილი აღრიცხვა; პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაერთოს დანართები,სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია კლინიკური მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; განისაზღვროს რომელ ჰოსპიტალში რომელი კლინიკური მოდულის სწავლება განხორციელდება.
დაწესებულების რეაგირება - პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მარეგულირებელი წესი მოდიფიცირებულია და გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა შესაძლო შემთხვევა. შიდა მარეგულირებელ აქტებში პროცედურების გაწერისა და ჩართული პირების პასუხისმგებლობების გამიჯვნის საკითხებზე მიმდინარე წარმოების ფარგლებში ასევე გაცემულია რეკომენდაციები.

ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები

ზოგადი რეკომენდაციები
1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტების მართვის პროცედურული დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების ინიცირების, შემუშავების, განხილვის, შეთანხმების/ვიზირების, დამტკიცების, განახლების/გაუქმებისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების/გაცნობის პროცედურები, დოკუმენტების რევიზიის პერიოდები და თითოეულ პროცედურაზე პასუხისმგებელი პირები;
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ დანერგოს შიდა მარეგულირებელი აქტების სავალდებულო რეკვიზიტებისა და გაფორმების შიდა სტანდარტი, მათ შორის ყველა დოკუმენტს მიეთითოს ამ დოკუმენტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირის/ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტის
(ბრძანება/ოქმი) რეკვიზიტები (აქტის ნომერი და თარიღი), დოკუმენტის პირველ გვერდზე მიეთითოს დოკუმენტის დასახელება, დოკუმენტში აღირიცხოს ცვლილებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მიეთითოს ცვლილებების შინაარსი;
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისი საკითხის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწეროს ამ საკითხის მართვის პროცედურები, ვადები, პროცედურაზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირები, შიდა მარეგულირებელი აქტების/ბრძანებების/საოქმო გადაწყვეტილებების პერსონალისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობის პროცედურები, ვადები და შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ აამოქმედოს ხარისხზე ორიენტირებული მართვის მოდელი, რისთვისაც გამოიყენოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მეთოდები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაავრცელოს დაწესებულების ყველა ძირითად და დამხმარე პროცესზე, მათ შორის ყველა პროცესისათვის დაინერგოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე);

5. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოების მიმართულებით, მაგალითად პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ან/და სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება და სხვ. დაწესებულებამ სრულად გამოიყენოს პარტნიორული თანამშრომლობები და აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა პროექტებში, რაც კოლეჯს დაეხმარება დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების მოზიდვისა და ინსტიტუციური თვითმყოფადობის გაძლიერებაში, ხელს შეუწყობს დაწესებულებას განვითარებაში და ნაკლებად იქნება დამოკიდებული დამფუძნებელთა შემოწირულობებზე.

განმავითარებელი რეკომენდაციები გაიცა ცალკეულ სტანდარტებთან / კომპონენტებთან / ინდიკატორებთან მიმართებაში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - "საექთნო განათლება" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით საექთნო განათლება / Nursing, სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ განსაზღვრულ მოთხოვნასთან. შესაბამისად, განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯში მოქმედებს „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორებსა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშების მიდგომებს. მათ შორის ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 150-ს. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები 1/7 თანაფარდობით. რაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით „საექთნო განათლება“ განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი გამოსაყენებელი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს. პროგრამაზე ჯამური ქვოტა შეადგენს 150-ს. წელიწადში კოლეჯი გეგმავს 50 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო სასწავლო პროცესს წარმართავს 2 ჯგუფად, ჯგუფში არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ რატომ ჰქონდა კოლეჯს კვოტა 150 პროფესიულ სტუდენტზე , მაშინ როდესაც დაწესებულების აქტიურ პროფესიული სტუდენტთა რაოდენობა 31 იყო და სტატუსშეჩერებულთა რაოდენობა 43.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ცნობადობის ნაწილში ახორციელებდა შესაბამის მარკეტინგულ ღონისძიებას, თუმცა ბოლო პერიოდში, ჩარიცხვის დროს მოხდა ტექნიკური უზუსტობა, შესაბამისად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვების მცირე რაოდენობაც ამით

იყო გამოწვეული. მისი თქმით, კოლეჯი გეგმავდა სხვადასხვა აქტივობებს ამ რიცხვის შესაცვლელად. რაც შეეხება სტატუსის შეჩერებას ექსპერტი აღნიშნავს, რომ დაწესებულებში სწავლა არ იყო მარტივი და ადვილად დასაძლევი, რამაც განაპირობა არასწორი მოლოდინები პროფესიული განათლებაზე დაუფლების მსურველთა მიმართ. დაწესებულება მიიჩნევდა, რომ ურჩევნიათ ჰყავდეთ რიცხობრივად ცოტა, მაგრამ მაღალი დონის პროფესიული სტუდენტი, რომელთა დასაქმება სამომავლოდ უდაო იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, სადაც არ იკითხებოდა თუ რომელ მოდულში ჩაერთვებოდა კლინიკა, რაც დაწესებულებას ამ ეტაპზე უკვე გამოსწორებული ჰქონდა. მისი თქმით, ხელშეკრულებები, რომელიც ამჟამად გაფორმებული იყო ევექსის ჰოსპიტალთან, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვებოდა კლინიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებაში.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ ს პედაგოგების დატვირთვის სქემა ითვალისწინებს მხოლოდ საკონტაქტო საათებს და არ არის გათვალისწინებული ძალიან მნიშვნელოვან დამატებით სამუშაოზე დახარჯული დრო, როგორიცაა, მაგალითად, შეფასების ინსტრუმენტის მომზადებაში დახარჯული დრო . მისი თქმით, საინტერესოა, თუ როგორ უნდა მოხდეს დატვირთვის სქემაში მსგავსი აქტივობების ასახვა,

საბჭოს წევრმა, ნინო ელბაქიძემ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა მასწავლებლის დატვირთვის სქემას, გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ზოგადად ყველგანროგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მასწავლებლის საქმიანობა სამი კომპონენტისგან შედგებოდა. პირველი ეს იყო გაკვეთილის დაგეგმვის კომპონენტი, მეორე უშუალოდ გაკვეთილის ჩატარების პროცესი და შემდეგ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია. საქართველოს კანონმდებლობით მასწავლებელს უნაზღაურდებოდა მხოლოდ ის საათები რომელსაც ის მუშაობდა ანუ ჩატარებული გაკვეთილები, ხოლო დანარჩენი არა. მისი თქმით, ნადვილად კარგია, რომ ექსპერტმა რეალურად დაინახა ის , რომ მასწავლებელი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე 40 საათზე მეტს მუშაობს, შესაბამისად აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მასწავლებლის დატვირთვის სქემასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას სრულად იზიარებდა დაწესებულება. კოლეჯი შეეცადა დატვირთვის სქემასთან დაკავშირებით პრაქტიკის მოძიებას პროფესიულ განათლებაში. მისი თქმით აღნიშული პრაქტიკის მაგალითი მათთვის უფრო ხელმისაწვდომი აღმოჩნდა უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში, სადაც ეს საკითხი მოწესრიგებული იყო, მათ განსაზღვრული ჰქონდათ წლიური დატვირთვის ზღვრული ნორმა, მათ შორის მომზადება სალექციო საათისთვის, ასევე დატვირთვაში განსაზღვრული იყო მათი პრაქტიკული

საქმიანობის კომპონენტიც, შესაბამისად დაწესებულება აპირებს გარკვეულწილად გადმოიტანოს აღნიშნული პრაქტიკა და მოარგოს პროფესიული განათლების სისტემას. რაც შეეხება კითხვას სტატუსშეჩერებულ სტუდენტების დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით, დაწესებულება ნამდვილად აკეთებდა აქცენტს ხარისხზე. ხარისხიანი სწავლების ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტუდენტების დასწრება წარმოადგენს, რადგან ბიოქიმიის, ანატომიის, ჰისტოლოგიის თუ ფარმაკოლოგიის დამოუკიდებლად სწავლა რთული იყო, რაც თავად სტუდენტებმა აღიარეს, თუმცა ამ მოთხოვნებით კოლეჯი არ უქმნიდა აუცილებლობას და არ ცდილობდა პროფესიული სტუდენტისთვის ებიძგა სტატუსის შეჩერებისკენ. მისი თქმით, ისინი ბევრს მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, პირველ რიგში დგინდებოდა სტატუსის შეჩერების მიზეზი და ხდებოდა თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური განხილვა. კოლეჯის წარმომადგენელი ასევე გამოეხმაურა ექსპერტების რეკომენდაციას, რომ კოლეჯში განისაზღვროს პერსონალის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვას, ადმინისტრირებასა და შესაბამისი დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ეხებოდა ეიჩარის პოზიციის არსებობას. დაწესებულებაში პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს სხვადასხვა პირიები ასრულებს, არგუმენტი იყო, რომ ვინაიდან აღნიშნული სფერო იყო სპეციფიური, ნებისმიერი ეიჩარს უნდა ჰქონოდა უშუალოდ სამედიცინო სფეროსთან შემხებლობა. სწორედ ეს იყო ამ პროცესში სამი სხვადასხვა პირის ჩართვის მიზეზი. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ, რომლებმაც აღნიშნეს რომ პერსონალის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, გამომდინარე თავისი ფუნქცია- მოვალეობიდან, არ დამატებით სამედიცინო განათლებას, რაც შეეხება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის ნაწილში გაცემულ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სტრატეგიული გეგმის მოქმედების ვადა 2023 წელს იწურება, შესაბამისად ახალ სტრატეგიულ გეგმაზე უწევდათ მუშაობა. პროცესების ფორმალიზებას რაც შეეხება, მისი თქმით, როგორც ჩანს აღნიშნული დაწესებულების ძლიერი მხარე არ აღმოჩნდა, მიუხედავად მცდელობისა, მაგრამ ამ ნაწილშიც ექსპერტების შენიშნვები სრულად იყო გათვალისწინებული იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებთან მიმართებაში მაგალითად, დოკუმენტის გაფორმების ნაწილში, გაფორმებული იყო მხოლოდ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ მიღებული აქტები, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება , რომ გაკეთდეს წინა წლებში დამტკიცებული დოკუმენტების რევიზია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნოკოლეჯში" განხორიცელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული

წარმოება შპს "დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში" (ს/კ:402022609) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 10 აპრილი.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეორე საკითხი: შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ვასაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის #152958 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ეკატერინე გიგაშვილი დაევალა ვიზიტი შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ მისამართი: (ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა No80)მიმდინარე წლის 27 თებერვალს,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის

ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. კოლეჯი შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ამავე მისამართზე, მეორე სართულზე. კოლეჯი გაფართოვდა და მიმდინარე წარმოების ფარგლებში შემოწმდა ახალი ფართი მეხუთე სართულზე. არაგეგმიური მონიტორინგისას ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა მეხუთე სტანდარტის პირველი და მეორე კომპონენტების შემოწმება. ვიზიტის განხორციელებამდე დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს და სხვა დასაქმებულ თანამშრომლებს. დაათვალიერეს მატერიალური რესურსი შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის. სამართლებრივ, ფლობის დამადასტურებელ და სახის დოკუმენტებს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ადგილზე, რადგან წარმოების სახიდან გამომდინარე დაწესებულებას წინასწარ არ ჰქონდა დოკუმენტაცია წარმოდგენილი.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.11 რეკომენდირებულია , გამდიდრდეს კოლეჯის ბიბლიოთეკა თანამედროვე ლიტერატურით.

5.1.2.4 რეკომენდირებულია, განთავსდეს გამაფრთხილებელი წარწერები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ.

5.2.2.1 რეკომენდირებულია, Eflow-ს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ანგარიში გაიხსნას კოლეჯის სხვა თანამშრომლებისთვისაც, რათა რევიზირება და დავალებების გაცემა გახდეს უფრო მოქნილი.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ 2022 წლის 29 დეკემბრის #06/98 იჯარის ხელშეკრულებით 2033 წლის 1 იანვრამდე აქვს დროებითი სარგებლობის უფლებით შპს ნოვამედისგან ქ.მარნეულში 26 მაისის ქ. #80 შპს ნოვამედის მეხუთე სართულზე მდებარე 728,30 კვ.მ ფართი,საკადასტრო კოდი 83.02.18.604.01.509 და 854,61 კვ.მ ფართი ს/კ 83.02.18.606.01.509. , აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ფართებიდან ამ ეტაპზე ათვისებულია და გარემონტებულია 1200 კვ.მ ფართი, ხოლო დანარჩენი ფართის გამოყენებას კოლეჯი მოგვიანებით აპირებს. ამ ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა მეხუთე სართულის განლაგების გეგმა, რომელშიც გალაგებულია: ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის კაბინეტები, 2A გარემო და 4 A-C გარემო, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც B გარემო. ასევე გამოყოფილია ორი სტუდენტური სივრცე, სივრცე არქივისთვის, საგარდერობე ოთახი და სველი წერტილები , მათ შორის შეზუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეუძლია გადაადგილება. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ასევე მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმყოფილებულია და დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და

მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომი იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.კოლეჯში შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 ივლისის #01-37 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, ხოლო 2021 წლის 17 მაისის #01/25 ბრძანებით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და უსაფრთხოების წესი აღნიშნული წესის მიხედვით შრომით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პირთან, რომელიც კოლეჯში ახორციელებს აღნიშნულ მოვალეობას. ექსპერტების მიერ ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულის პირადი საქმე, როგორც აღმოჩნდა აღნიშნულ პირს ჰქონდა ვადიანი სერტიფიკატი, რომელიც წარმოდგენილ იქნა ექსპერტებისთვის ვიზიტისას. კოლეჯს ემსახურება კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა შეფასებით, სტანდარტის აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა „მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“,. აღნიშნული წესის მეორე მუხლით განსაზღვრულია ის პროცედურები, რაც უნდა განხორციელდეს კოლეჯის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტთა შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

მარნეულის სამედიცინო კოლეჯს ჰქონდა ცალკე გამიჯნული საპირფარეშოები მამაკაცებისთვის და ქალებისთვის. თითოეულში არის კაბინები, ასევე არის 1 საპირფარეშო შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით, დამონტაჟებულია ხელსაბანები, გათბობა და ვენტილაცია. არის მოწესრიგებული და სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაიცვან პირადი ჰიგიენა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის მიერ 2020 წლის 26 ოქტომბერს გაცემული #51 საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასტურდება რომ მარნეულის 26 მაისის #80 ში მდებარე შვიდსართულიანი შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კოლეჯის დირექტორის 29 ნოემბრის #01/67 ბრძანებით, კოლეჯში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, შენობა აღჭურვილია ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით. კოლეჯი უზრუნველყოფს 6 თვეში ერთხელ თანამშრომლების გადამზადებას საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით. კოლეჯში მეხუთე სართულზე ამ ეტაპისთვის არ იყო დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა ვიზიტისას დაწესებულებამ გამოხატა მზაობა, დაეწყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება და 2023 წლის 27 თებერვლის #1830 წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურს, რომ შეემოწმებინა სახანძრო უსაფრთხოების ნორმები მეხუთე სართულზე. თუმცა მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის 20 მარტს გაცემული სახანძრო ტექნიკური შემოწმების აქტი #44, რომლიდანაც ირკვევა რომ დაწესებულების შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. კერძოდ, საჭიროა თანამშრომლებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება სახანძრო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით; საევაკუაციო კიბის უჯრედში დასამონტაჟებელია ავტონომიური კვების ავარიული განათება; საევაკუაციო გეგმები არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს და შესაცვლელია. კოლეჯმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 მარტის #2776 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ“, წარმოდგენილი გეგმის თანახმად, დაწესებულება გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას 3 თვის ვადაში. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა შემოსული დოკუმენტაცია.
სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით აღნიშნული ღონისძიებების გატარება სავსებით შესაძლებელია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე შეიცვალა ექსპერტთა შეფასება და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.

კოლეჯს დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,ექიმის პოზიციაზე აყვანილი პირის დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მეხუთე სართულზე არის პირველადი დახმარების ყუთი. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მეხუთე სართულის ფართისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ. სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე˜ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370-ე დადგენილების შესაბამისად გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აკისრია ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი სრულად იყო აღჭურვილი სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულია კვლევა ტექნიკით სარგებლობის შესახებ, კითხვარი განთავსებული ვებგვერდზე-სტუდენტთა დამოკიდებულების კვლევა სწავლა სწავლების პროცესში, აღნიშნული კითხვარი მოიცავს ინფორმაციას სტუდენტთა მიერ რესურსების მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე IT ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში. დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის განვითარება ხორციელდება კოლეჯის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე. IT სისტემის შეფასებასა და არსებულ ხარვეზთა გამოსწორებასთან დაკავშირებით, კოლეჯის ‘’მატერიალური რესურსების განკარგვის წესის მიხედვით’’ სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად წარმოადგენს ანგარიშს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ, მათი გამოსწორებისა და ოპტიმიზაციის რეკომენდაციებთან ერთად.

დაწესებულების რეგულაციის თანახმად, IT სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი ვალდებულია უზრუნველყოს კოლეჯის საოფისე კომპიუტერული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში ცალკეული დიაგნოსტიკა და ოპერაციული შეკეთება, ხოლო შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთებული მოთხოვნით უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება და შუამდგომლობით მიმართვა სერვის ცენტრში შეკეთების თაობაზე. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ „მატერიალური რესურსის გამოყენების წესის“ თანახმად, კოლეჯის განკარულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვა, შენახვას, განვითარებასა და გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, განთავსებულია სასწავლო გარემოებში, ბიბლიოთეკასა და სამუშაო ოთახებში. ასევე ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ისე კაბელიანი ინტერნეტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ნაწილი სრულად შეესაბამებოდა სტანდარტით მოთხოვნილ ინდიკატორებს. 5.1 კომპონენტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხოლო 5.2 კომპონენტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ექსპერტების მხრიდან დაფიქსირდა ხარვეზი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან მიმართებაში, რადგან დაწესებულებამ მე-5 სართულზე დაიმატა ფართი, რაზეც კოლეჯს არ ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტი, კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით. დასკვნის პროექტის წარდგენისას დაფიქსირდა ხარვეზი, რაც საბოლოო ჯამში ექსპერტების მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობისას აღნიშნული ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, რადგან დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ექსპერტის ეკატერინე გიგაშვილის განცხადებით, მათი მხრიდან მონიტორინგის ფარგლებში ძალიან პატარა სეგმენტი იყო შესამოწმებელი. ექსპერტი ადასტურებს, რომ შენობა იყო ახალი გარემონტებული და საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, დაწესებულების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ნამდვილად იყო ორიენტირებული ყველაფრის გამოსწორებაზე. არსებული რესურსი აზრობრივად იყო გააზრებული და ჩანდა, რომ რეალურად შესაბამისობის გეგმა, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა იყო რეალისტური და ნამდვილად ქმედუნარიანი ნაბიჯები იყო გადადგმული მათი მხრიდან .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება ძველ ფართზე რაიმე პროგრამებს და იყო თუ არა საუბარი მათი მხრიდან კვოტის მომატების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯი ძველ ფართზე ახორციელებდა პროგრამებს, რაც შეეხება კვოტის მომატებას ამასთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა. კოლეჯმა დეკემბრის თვეში გაიარა სრული მონიტორინგი, რის შედეგადაც დადგინდა რომ მეორე სართული იყო სრულ შესაბამისობაში, ასევე აღნიშნავს, რომ იყო გაცემული რამდენიმე მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაციები, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა და გამოასწორა. რაც შეეხება მე-5 სტანდარტს კოლეჯს გამოძახებული ჰყავდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან სპეციალისტები, მაგრამ ვერ მოესწრო უსაფრთხოების სისტემის ბოლომდე სრულყოფა, აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციების სააგენტომ გასცა რეკომენდაცია და დაწესებულება სამომავლოდ გააკეთებს საევაკუაციო კიბის უჯრედში დასამონტაჟებელ ავტონომიური კვების განათებას, სახანძრო ევაკუაციის გეგმას, გამოაკრავს 112 - ის ბროშურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებაში. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებაში კითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ განხორციელებული მონიტორინგის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება **შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯ**ში“ (ს/კ: 405337880) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 12 ივლისი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვნა და საბჭოს ინფორმირება.

მესამე საკითხი: შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ

იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები ორივე - „აღმზრდელის“ და "ინფორმაციის ტექნოლოგიის" განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარე მანანა მახარაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ორივე პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით

მისი განცხადებით, შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელისა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ დამატებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა „აღმზრდელის“ პროგრამაზე 2023 წლის 27 თებერვალს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი ქეთევან ღვანიძე, ხოლო „ინფორმაციის ტექნოლიგიის“ პროგრამის დამატებაზე 2023 წლის 28 თებერვალს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი ალექსანდრე კეკენაძე.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, ორივე პროგრამაზე, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. შესწავლილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, შედგა დღის წესრიგი, რომლის საფუძველზე შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი. თავდაპირველი შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, შეფასდა როგორც შეუსაბამო, 2.4.1. (6) ინდიკატორის ნაწილობრივი შესაბამისობიდან გამომდინარე, რაც განპირობა დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის 5.2.1.(1) და 5.2.1.(3) ინდიკატორების მოთხოვნებთან შეუსაბამობამ, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცისთვის (მე-5 სართული) არ იყო წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. პსდ-მ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეფასების აქტი (№44 14.03.2023) და მის საფუძველზე შემუშავებული შესაბამისობის გეგმა (შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანება №00002776, 27.03.2023). ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრულია 27.05.2023 წ. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, იდენტიფიცირებული ხარვეზი და ინდიკატორის შეფასება კლასიფიცირდა, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამა, პსდ-ს 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან - „შესაბამისი“.

შესაბამისობის რეკომენდაცია „აღმზრდელისა“ და "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროგრამის ფარგლებში

2.4.1. (6) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებამ უზრუნველყოს, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებისა და შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული მითითებების შესაბამისად, უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნა, შესაბამისობის გეგმით დადგენილი ვადების დაცვით.

განმავითარებელი რეკომენდაციები - „აღმზრდელი“
სასურველია:
2.1.1.(8) - საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია. ასევე კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11) და დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.

სასურველია:
2.2.1. (1) - ხელშეკრულებას თან დაერთოს მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის კონკრეტული დაწესებულებების ნუსხა, სადაც მოიაზრება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.
2.2.1.(3) - კორექტირდეს, პსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტებით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო გამოცდილების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა.
2.2.1.(7) - შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირება-პროგნოზირებას
2.4.1.(3) - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მიდგომებში, სწავლების მეთოდებში აისახოს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ტექნოლოგიები.
2.4.1.(5) - პსდ-მ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება. 2.4.2 (2) - ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პსდ-მ განსაზღვროს შესაფასებელი ინსტრუმენტების/ნამუშევრების კონკრეტული რაოდენობა/წილი.

განმავითარებელი რეკომენდაციები - „ინფორმაციული ტექნოლოგია“

სასურველია:

2.1.1.(8) - საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია. ასევე, კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11) და დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.

სასურველია:
2.2.1.(3) - კორექტირდეს, პსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტებით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ამასთან სამუშაო გამოცდილების ვადების განსაზღვრასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა.
2.2.1.(7) - შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირება-პროგნოზირებას
სასურველია:
2.4.1.(6) - პსდ-მ უზრუნველყოს „სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი“-ს რედაქტირება, ნარჩენების ტიპებისა და კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით.
2.4.2 (2) - ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პსდ-მ განსაზღვროს შესაფასებელი ინსტრუმენტების/ნამუშევრების კონკრეტული რაოდენობა/წილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“
პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა ადრეული სკოლამდელი აღზრდის სექტორში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებსა და ამ მიმართულებით საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებს. ამასთან კოლეჯი თანამშრომლობს და ჩართული ჰყავდა პროგრამის შემუშავება-ადაპტირების პროცესში ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებები. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დადგენილი პროცედურის დაცვით და არ მოდის წინააღმდეგობაში პსდ-ის გაცხადებულ მისიასთან, განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას. შესწავლილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პსდ-ის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პსდ-ს განსაზღვრული

აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 80 პროფესიული სტუდენტით. პსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს განსაზღვრული ზღვრული ოდენობა ორი წლის პერიოდში, თითოეულ მიღებაზე 40-40 პროფესიული სტუდენტი 2 ჯგუფად. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის დროსაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკასა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პსდ-ის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მარნეულისა და ბოლნისი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში მყოფ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებებთან. მემორანდუმის თანახმად სკოლამდელი აღზრდის რეგიონული გაერთიანებები მზადყოფნას გამოთქვამენ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯის სტუდენტებისთვის გამოყონ მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა.

ექსპერტთა რეკომენდაციით, იქედან გამომდინარე, რომ პროგრამა არ ხორციელდება მხოლოდ პსდ-ში, იმიტირებულ გარემოში, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, კოოპერაციული სწავლების განმახორციელებელი სუბიექტისთვის დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი. ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ექსპერტის განცხადებით, მათ მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია „აღმზრდელის“ პროგრამაზე 2.4.1 (5) ინდიკატორზე, რომელსაც დაწესებულება არ დაეთანხმა. 416-ის განმარტებით პროგრამების ორი ძირითადი მიმართულება განხორციელების თვალსაზრისით იყო რეალური ან იმიტირებული და რეალურ გარემოში დარგობრივი მოდულებიდან გატანილი 50%-მდე კრედიტების რაოდენობა კოოპერაციულ დეფინიციაში ხვდებოდა. რაც შეეხება შეფასების წესს, ძალიან ორაზროვანი იყო ამ შემთხვევაში, იქედან გამომდინარე, რომ ჩანაწერში არ ჩანდა შეფასება უნდა გაკეთებულიყო შერჩევამდე თუ შერჩევის შემდგომ, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებთ გაიცა რეკომენდაცია და არა ხარვეზი. მისი თქმით, კოლეჯს ნამდვილად ჰქონდა შერჩეული პრაქტიკის ობიექტი 416-ე კრიტერიუმების შესაბამისად. პროგრამის განხრციელებისთვის არ არსებობდა არანარი რისკფაქტორი იმისა, რომ ხარისხი ვერ იქნებოდა დაკმაყოფილებული, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად იზიარებდა იმ ბუნდოვანებას, რაც რეგულაციაში

იყო მოცემული, იმ თვალსაზრისით, რომ ზუსტად არ იყო განსაზღვრული. თუ დაწესებულება ადგილზეც ახორციელებდა რომელიმე პრაქტიკულ კომპონენტებს და გარკვეული რაოდენობა გაჰქონდა, ეს ზუსტად კოპერაციული იყო, ესეთი ცალსახა და ერთგვაროვანი კონკრეტული განმარტება რეგულაციაში ნამდვილად არ იყო. შესაძლოა დაწესებულება გარკვეულ პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებდა თავის ადგილზე და გარკვეული მოდულები 50%-მდე გატანილი ჰქონდა პარტნიორ კომპანიებთან, ამ შემთხვევაში გვაქვს შერეული სიმულაციური და კოოპერაციული, მაგრამ სიტყვიერად მივიღეთ განმარტება , რომ ეს მაინც კოპერაციული იყო, თუნდაც ერთი მოდულის შედეგი იყოს გატანილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდა თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლისხანგრძლივობა – 20 თვე/80 სასწავლო კვირა), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 25 თვე/101 სასწავლო კვირა). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შესაძლო აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული არა იყო პროგრამის განხორციელების ფორმა. პროგრამის განხორციელებისა და გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული წესით. ექსპერტთა რეკომენდაციით, დაინტერესებული პირებისთვის სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, პროგრამაში სასურველია აღინიშნოს განხორციელების მიდგომა და განსაზღვრული იყოს მოდულების/სწავლის შედეგების ნუსხა, რომელთა განხორციელებაც მოხდება პარტნიორი დაწესებულებების თანამონაწილეობით ან ინფორმაციას აისახოს კონკრეტული მოდულების განხორციელების შესახებ ჩანაწერებში. პსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერის (პ. 11) კორექტირება და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან (მუხლები: 16 და 21 1), კერძოდ დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე/83 სასწავლო კვირა (146 კრედიტი), ხოლო არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის 26 სასწავლო თვე/105 სასწავლო კვირა (116 კრედიტი). სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლებისა და სააღმზრდელო დარგის შესაბამისი თანამედროვე მეთოდების/ტექნოლოგიების გამოყენებას, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. განმახორციელებელი პირები თავად აქვთ ტრენინგები გავლილი ადრეული განათლების სწავლების მეთოდოლოგიებში და იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში.

საგანმანათლებლო პროგრამა- „ინფორმაციული ტექნოლოგიები“

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ ჩატარებულ შრომის ბაზრის ანალიზს, რომლითაც დასტურდება აღნიშნულ სპეციალისტებზე მოთხოვნა. დაწესებულებას

წარმოდგენილი აქვს ასევე ბოლო წლებში აღნიშნულ სპეციალისტებზე გამოქვეყნებული ვაკანსიები. დაწესებულების მიერ რეგიონის სკოლებთან გამართულ შეხედრებში, აღნიშNული მიმართულება ასევე იდენტიფიცირდა როგორც მოთხოვნადი სპეციალობა. პსდ-ის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციული ტექნოლოგია“ პსდ-ს განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 40 პროფესიული სტუდენტით. პსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს განსაზღვრული ზღვრული ოდენობა 2 ცვლად. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პსდ-ის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულის (A2) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 61 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 11 თვე/44 სასწავლო კვირა), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 75 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 13,5 თვე/54 სასწავლო კვირა).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.
დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცე, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმხორციელებისთვის არსებული მატერიალური აღჭურვილობით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია: - A სასწავლო გარემო თეორიული კომპონენტისთვის, სადაც მოწყობილია 40 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. - B სასწავლო გარემო, სადაც მოწყობილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, პერსონალური კომპიუტერი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით), კარადა, აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა. აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებით/ტელევიზორი პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით. პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დარგის ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი რამდენიმე პედაგოგის საქმეებიდან არ დასტურდებოდა მათი კვალიფიკაცია, თუმცა პროგრამის მდგრადობას პრობლემა არ ჰქონდა,

ვინაიდან სამ განმახორციელებელს უდასტურდებოდა კვალიფიკაცია, შესაბამისად დაწესებულება აპირებდა ამოეღო არაკვალიფიცირებული პედაგოგები. კადრები მარნეულის ტერიტორიისთვის ადაპტირებულნი იყვნენ და სიტუაციას მორგებულნი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებაში.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ მიმართა ექსპერტს კითხვით, დაეზუსტებინა იყო თუ არა დარგთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმები დაცული.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ჰქონდა. მოწესრიგებული იყო სახანძრო სისტემა, აღჭურვილი იყო პირველადი საშუალებები, დამცავი სათვალეებით, ანტისეპტიკური ნივთიერებით. მისი თქმით, გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ სამომავლოდ გააფორმოს ხელშეკრულება სპეციფიური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნინო ელბაქიძემ მიმართა კოლეჯის წამომადგენელს კითხვით და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ყურადღებით კითხულობდა ისეთ პროგრამებს, რომელიც განათლებას უკავშირდებოდა. მისი თქმით, დასკვნის გაცნობის შემდეგ, ნათელი იყო, რომ პრაქტიკის კომპონენტი საკმაოდ კარგად ორგანიზებული იყო, ვინაიდან დაწესებულებას მემორანდუმებიც ჰქონდა გაფორმებული და დასტურდებოდა სწავლის შედეგების მიღწევადობა. მან აღნიშნა, რომ ქვემო ქართლი იყო ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური რეგიონი არაქართულენოვანი მოსახლეობის თვალსაზრისით. დაწესებულებაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მოუწევდა ან არაქართულენოვან ბაღებში, ან არაქართულენოვან ბავშვებთან მუშაობა. მისი თქმით, ვინაიდან დაწესებულება არაქართულენოვან გარემოში იყო, თითქმის გარდაუვალი იყო ის, რომ კურსდამთავრებულებს მოუწევდათ არაქართულენოვან ბავშვებთან შეხება, ამ სენსიტიურობის დასაძლევად ჰქოდნა თუ არა კოლეჯს პრევენციის სახით რაიმე გათვალისწინებული პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯს პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა ჰყავდა რეგიონიდან, ბევრი მათგან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია. პროგრამის ფარგლებში არაქართულენოვან აპლიკანტებს თუ სტუდენტებს კოლეჯი ასწავლიდა ქართულ ენას, გარდა ამისა კურიკულუმს გარეთ ხორციელდებოდა უამრავი ღონისძიება, რომლის ნახვა შესაძლებელი იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე. ისეთი გამოცდილება მისცემს კურსდამთავრებულებს საშუალებას გაუმკლავდნენ იმ სირთულეებს, რაც დაკავშირებულია არაქართულენოვან ბავშვებთან მუშაობის და მათი სოციალურ გარემოში ადაპტირების დროს.

დაწესებულების წარმომადგენლის,ზვიადი არძენაძის განცხადებით, ხშირად იყო ნახსენები აღმზრდელის პროგრამის ხელმძღვანელის კომპონენტი. ყველა პროგრამის დაკომპლექტების პროცესში კომპონენტი, რომელიც უკავშირდებოდა სწავლების სპეციფიკას სრულად იქნა შემუშავებული, მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო დოკუმენტი და თვითონ პროგრამა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კოლეჯს გაეთვალისწინებინა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც სწორედ ეროვნული უმცირესობის გამოწვევებს უკავშირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ რა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ (ს/კ: 405337880) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აღმზრდელის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ „ინფორმაციული ტექნოლოგიების“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს"მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ (ს/კ: 405337880) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**

საბჭოს წევრმა ვალერი გულბანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეხუთე საკითხი: შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ "საფინანსო სერვისების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 თებერვლის No152956 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 28 თებერვალს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. No180) ,,საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის
მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. დათვალიერებულ იქნა პრაქტიკის ობიექტი (სს ,,თიბისი ბანკის“ მარნეულის ფილიალი) და განხორციელდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიურების და დათვალიერებული მატერიალური რესურსის საფუძველზე, ავტორიზაციის ქსპერტთა ჯგუფს ,,საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება მიზანშეწონილად მიაჩნია.

რეკომენდაციების შეჯამება:
ვიზიტის პერიოდისთვის, აღნიშნული ფართზე დაწესებულებას არ ჰქონდა, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. შესაბამისად, დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ხარვეზი და შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“. კოლეჯმა წარმოადგინა დასაბუთებული არგუმენტაცია დასკვნის პროექტზე, ასევე წარმოადგინა სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი N44 (14.03.2023) . აქტში დაფიქსირებულია შეუსაბამობები:
-ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოსაკრავია ერთიანი სატელეფონო ნომერი 112;
-აიკრძალოს საევაკუაციო კიბეების უჯრედების ჩახერგვა სხვადასხვა საგნებითა და მასალით;

-აიკრძალოს საევაკუაციო კიბეების უჯრედში რაიმე სახის დანადგარების მოწყობა განთავსება (ცენტრალური გათბობის ქვაბი);
-აიკრძალოს საევაკუაციო კიბეების უჯრედში დამატებითი კარების დაყენება;
-საევაკუაციო კიბის უჯრედებში დასამონტაჟებელია ავტონომიური კვების ავარიული განათება;
-შენობის საევაკუაციო გზებზე გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

როგორც კოლეჯის მიერ წარმოდგენილ არეგუმენტირებულ პოზიციაშია აღნიშნული ეს შეუსაბამობები არ მოითხოვს კოლეჯის მიერ დიდ ძალისხმევასა და ფინანსურ რესურსებს. ხარვეზის აღმოსაფხვრელად კოლეჯმა შეიმუშავა შესამისობის გეგმა და 2023 წლის 27 მაისამდე (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 27 მარტის N2776 ბრძანებით. უზრუნველყოფს აქტში მითითებულ ხარვეზებს) . ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ,,არ შეესაბამება“ შეიცვალა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.

შესაბამისობის რეკომენდაცია:
კოლეჯმა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს სახანძრო - ტექნიკური შემოწმების აქტში მითითებული ხარვეზები და წარმოადგინოს დადებითი დასკვნა.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

2.1.1.(8) - საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს No416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია. ასევე კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11) და დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.
2.2.1 (1) დეტალურად გაიწეროს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში რა რაოდენობით სტუდენტთა მიღებას შეძლებენ.
2.2.1 (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პირად საქმეში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში გამოცდილება დასტურდება მხოლოდ CV - ით და ინტერვიუთი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განსაკუთრებით დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.
2.2.1 (5) . საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. პროფესიულ საგანმანათლებლო მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი იცნობენ უახლეს საბანკო პროცედურებს, მუდმივად ეცნობიან ზედამხედველი ბანკის სიახლეებს და აქტიურად იყენებენ ახალ რესურსს სწავლების პროცესში, თუმცა პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსის შესაბამის ინფორმაციაში არ არის მითითებული ახალი ინფორმაცია და შესაბამისად არც მათი ელექტრონული ვერსიები არსებობს ბიბლიოთეკაში. მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული მოდულების ადაპტირებასა და მათი ელ .ვერსიების ბიბლიოთეკაში განთავსებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ფაქტობრივი გარემოებების, პსდ-ს წარმოამდგენლებთან და პარტნიორთან გასაუბრების საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია, თუმცა ექსპერტთა მიერ გაიცა გარკვეული რეკომენდაციები ტექნიკურ ხარვეზებთან და ჩანაწერების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, კერძოდ: პსდ-მ უზრუნევლყოს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერის (პ. 11) კორექტირება და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან (მუხლები: 16 და 211), კერძოდ დაემატოს ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში და სარგებლობაში არსებული, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ ფართებში, ასევე, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. დაწესებულების A ტიპის გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გათვლილია 40 პროფესიულ სტუდენტზე 2 ცვლაში (დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს კვოტა 40 პროფესიული სტუდენტი). B ტიპის სასწავლო გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე (21 კომპიუტერით, მონიტორით, პრინტერით). დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს კვოტა 40 პროფესიულ სტუდენტზე; ჯგუფში 20-20 სტუდენტი, თუმცა ეს გაწერილი არაა, დადასტურდა გასაუბრებისას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულებები სს „თიბისი ბანკთან“, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალთან“ და შპს ,,გორგიასთან“. შპს ,,გორგიასთან“ ასევე დაგეგმილია მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

პროფესიულ საგანმანათლებლო მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი იცნობენ უახლეს საბანკო პროცედურებს, მუდმივად ეცნობიან ზედამხედველი ბანკის სიახლეებს და აქტიურად იყენებენ ახალ რესურსს სწავლების პროცესში, თუმცა პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსის შესაბამის ინფორმაციაში არ არის მითითებული ახალი ინფორმაცია და შესაბამისად არც მათი ელექტრონული ვერსიები არსებობს ბიბლიოთეკაში. მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული მოდულების ადაპტირებასა და მათი ელ.ვერსიების ბიბლიოთეკაში განთავსებასთან დაკავშირებით.

პროგრამა ,,საფინანსო სერვისები'' საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს, 35 კრედიტის მოცულობით. საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 52 კრედიტი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 36 კვირაზე გაწერილი სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მეცადინეობებისა და შეფასებისთვის დათმობილ საათებს. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგების თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ კოლეჯი გაითვალისწინებდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებაში. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხებთან მიმართებაში კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის“ "საფინანსო სერვისების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯს“ (ს/კ: 405337880) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).**

მეექვსე საკითხი : სსიპ კოლეჯ ,,ფაზისისთვის“ ,,ამწის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 13 თებერვლის ბრძანების (MES 2 23 0000166801) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ კოლეჯ "ფაზისის" საგანმანათლებლო პროგრამის "ამწის ოპერირება" რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი შედგა 2023 წლის 9 მარტს. (ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. No54). ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში. შედგა შეხვედრა დაწესებულების

ხელმძღვანელთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამასთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები(A,B,C გარემო). ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე, შედგა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე,
მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან, დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.3 განმავითარებელი რეკომენდაცია: გადამუშავდეს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია(იხ. აღწერა)

2.3.1.1. განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უფრო მეტი ყურადღება მიექციოს თავად კითხვარს, რესპონდენტებისადმი მიდგომას, მათთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებს, მონაცემების ანალიზსა და მათ წარმოდგენას. დაწესებულებამ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უნდა განსაზღვროს კითხვარის მიზნები/ამოცანები; უნდა ჩამოყალიბდეს როგორი საზომები/სკალები/კითხვები/პასუხები სჭირდება კვლევას; დაიწეროს კითხვარის დებულებები; ჩატარდეს კითხვარის პილოტირება და შედეგად დაიხვეწოს დებულებები. კითხვარის შედეგები უნდა მუშავდებოდეს და მიღებული ინფორმაცია მიიმართოს კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესების განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამა ამწის ოპერირება

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას: კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ განხორციელების დაგეგმვისას კოლეჯი დაეყრდნო ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, ასევე დაწესებულებამ განახორციელა დამსაქმებელთა კვლევა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ შპს ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და მსგავსი ტიპის კომპანიებში, ერთ-ერთი წამყვანი და საჭირო მიმართულება გახლავთ ამწისა და მსგავსი მანქანების ოპერირება. ფოთში ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრის დეფიციტია. კოლეჯი 2013 წლიდან ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს ,,ამწის (სხვადასხვა ტიპი კოშკურა, ხიდურა, ჯოჯგინა, პორტალური, საავტომობილო ტიპის შასიზე დამონტაჟებული მობილური ამწეების, მუხლუხა სავალი მოწყობილობის მქონე და სარკინიგზო ამწეების) მემანქანე'' - ადგილობრივი ბიზნესის დაკვეთითა და ასევე დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, ასევე კოლეჯში 2019 წლიდან წარმატებით ხორციელდება საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, რომელზეც მოთხოვნა ყოველწლიურად მზარდია. კოლეჯი თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მოსახლეობის დასაქმებაა. აღნიშნული პროგრამის კურსდამთვრებულები წარმატებით დასაქმდებიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის დროს. ვიზიტის დროს დაისვა კითხვა, თუ რატომ გადაწყვიტა კოლეჯმა ინტეგრირებული მიდგომითაც პროგრამის განხორციელება, ვინაიდან დაშვების წინაპირობაა ასაკი 17 წლიდან და პირდაპირ სკოლიდან ვერ შეძლებდნენ აპლიკანტები ჩაბარებას. რაიონში ბევრი ცხრაკლას დამთავრებულია, რომლებიც უკვე დიდი ხანია გავიდნენ სკოლიდან და მათთვის შეიქმნა შემდგომი განვითარებისათვის ჩიხი და მსგავსი პრობლემით ბევრი მსურველი აკითხავს

კოლეჯს. შესაბამისად, კოლეჯმა იზრუნა, რომ მსგავსი პრობლემის მქონე ადამიანებს მიეცეთ განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა.

დაწესებულებას შემუშავებული/დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ძირითადად A და B გარემოს და მატერიალური რესურსების საკმარისობას. ვინაიდან აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი სრულად ის ფაქტორები, რაც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას, მაგალითად ის, რომ ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა(განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლებში ან ორ პარალელურ ჯგუფად უნდა განხორციელდეს სწავლება); კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენთა იმ მაქსიმალური რაოდენობა (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს შეუძლია მიიღოს; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა აუდიტორიებში/პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილების შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; „ამწის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30 სტუდენტით , მათ შორის 15 პროფესიული სტუდენტი -ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებისათვის. დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A და B სასწავლო გარემო, რომლებიც გათვლილია 15-15 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა; ასევე, რამდენიმე გარემო ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად, მათ შორის სრულად აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც სრულადაა დაცული უსაფრთხოების ზომები, არის რამდენიმე სივრცე სხვადასხვა ტიპის აქტივობების განსახორციელებლად. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ამ საგანმანათლებლო სივრცეებს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც, წარმოდგენილ იქნა აუდიტორიათა გამტარიანობის სქემები. მათი შესწავლითა და გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა.

კონკრეტულად პროგრამისათვის „ამწის ოპერირება“ გამოყოფილია AC გარემო სადაც განთავსებულია პორტალური ამწის სიმულატორი, 15 ადგილი(მაგიდა/სკამი) პროფესიული სტუდენტებისათვის, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. კოლეჯს პროგრამის რიგი პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმები ისეთ მსხვილ დამსაქმებელ კომპანიებთან, როგორებიცაა შპს ,,ტრანსფორდი“, შპს „ბი ენდ პი“ და შპს ,,მეტალექს ტრანსი“, რომლებიც მრავალია წელია თანამშრომლობენ კოლეჯთან გრძელვადიანი თუ მომზადება-გადამზადების პროგრამებისა და სასერტიფიკატო კურსების განხორციელების

ფარგლებში, როგორც სამშენებლო და საინჟინრო, ასევე ბიზნესისა და მომსახურების მიმართულებით. თითოეულ კომპანიასთან თანამშრომლობა გულისხმობს 15-15 პროფესიული სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში. ანუ სამივე კომპანიის შემთხვევაში 90 პროფესიული სტუდენტი. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, პრაქტიკის ობიექტზე გადის პროფესიული მოდულებიდან (69 კრ.) სულ 27,3 კრედიტის მოცულობით პრაქტიკული კომპონენტი. განხორციელდა ვიზიტი ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტზე შპს ,,ტრანსფორდში" სადაც გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს. მათი პრაქტიკით პროფესიულ სტუდენტებს ობიექტზე შესვლის დროს უტარდებათ პირველადი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და შემდეგ ხდება დაშვება სასწავლო პროცესზე. სტუდენტები განაწილდებიან თითო-თითო ამწეზე. მათთან ერთად ადგილზე იმყოფება მოდულის განმახორციელებელი პირიც, რომელიც თავდაპირველად აწოდებს თეორიულ მასალას, ხოლო შემდგომ პრაქტიკულ სწავლებას ახორციელებენ დაწესებულების ამწის
ოპერატორები. შპს „ბი ენს პი" წარმოადგენს „ტრანსფორდის" შვილობილ კომპანიას, განთავსებულია გვერდით და აქაც იგივე პრაქტიკით განხორციელდება სწავლება.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, მრავალწლიანი პროფესიით მუშაობის გამოცდილებით. გავლილი აქვს სხვადასხვა სახის ტრენინგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ,,ამწის ოპერირების" პროგრამა ნამდვილად ორიენტირებული იყო რეგიონის საჭიროებაზე. ფოთის აკვატორიაში ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობდა და სულ მალე ორი ახალი ნავსადგომი ჩადგებოდა მწყობრში. შესაბამისად, ასეთი ტიპის ამწეები, რომელიც იყო სამუშაო ობიექტზე განლაგდებოდა იქაც, ამას დაემატებოდა უახლოეს პერიოდში ანაკლიის პორტიც, შესაბამისად ის რაოდენობა, რომელიც მოთხოვნილი ჰქონდა კოლეჯს რეალობასთან ძალიან ახლოს იქნება. მისი თქმით, აღსანიშნავია ის, რომ ადგილი სადაც მიმდინარეობდა სწავლება დაკომპლექტებული იყო თანამედროვე ამწეებით, შესაბამისად იყო საშუალება იმისა, რომ მასწავლებლები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ აღნიშნულ ჯგუფებთან, მიაღწევენ იმ შედეგებს, რომელიც ,,ამწის ოპერირების" პროგრამაში იყო მითითებული. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ არსებობდა სიმულაციური გარემო, სადაც საჭიროების შემთხვევაში გაცილებით მარტივად, ინსტრუქტორის ხელშეწყობით მიიღებენ საჭირო უნარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ შეთანხმების საფუძველზე დაწესებულებას კიდევ ერთი კომპანია დაემატა, როგორც პარტნიორი ორგანიზაცია. კოლეჯის ტერიტორიაზე შენდებოდა ამწის ოპერატორის მიმართულებით სასწავლო სახელოსნო, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა თანამედროვე სიმულაციური გარემოთი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებაში. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხებთან მიმართებაში კითხვები არ ჰქონდათ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება : პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51 - ე და 62 - ე მუხლების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ,,ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „,ამწის ოპერირების“ საშუალოპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 5).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:36 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
ბოლქვაძე ტიტე

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას. გამზ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N 80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N 80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N 80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ფოთი, კონსტიტუციის ქ.54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	134
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	164
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106